HELLO! GEORGIA

SPECIAL LIFESTYLE SERIES

#02
2017/18
8.00₾

ISSN 2449-304X

+500

სეზონური რჩევა
მოდის კვირეულებიდან

PRET-A-PORTER

ᲐᲛᲐᲠᲓᲒᲝᲛᲐ/ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ 2017/18

PARIS, MILAN, LONDON, NEW YORK, TBILISI

2-6 NOVEMBER

SPRING/SUMMER 2018

Mercedes-Benz FashionWeek

TBILISI

INTERPRISE GEORGIA
Georgia
Coca-Cola
BE NEXT
FASHION DESIGN CONTEST
RUSTAVELI THEATRE
KEUNE

WWW.MBFASHIONWEEKTBILISI.COM

GAUTIER

La signature d'un grand fabricant de meubles

FRENCH MANUFACTURER

WWW.GAUTIER.FR

ფრანგული
ავეჯის
სალონი
გოტიე
2 20 24 24
აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ
www.gautier.ge

SPECIAL LIFESTYLE SERIES

HELLO! GEORGIA

რედაქტორის წერილი

ნოემბერი HELLO!-ს გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თვეა. ვიდრე წინასაახალწლო სამზადისის აურზაურში ჩავებმებით, ჩვენი ჟურნალის ერთგულ მკითხველსა და მოდის მოყვარულებს FASHION-დამატებას წარმოგიდგენთ. იმის გამო, რომ ჩვენი LIFESTYLE-ის ბლოკი უამრავი ქალბატონისთვის შეუცვლელი და უკონკურენტო წყარო გახდა მოდისა და სტილის საკითხებში, გადავწყვიტეთ ამ საკითხს უფრო სერიოზულად მივუდგეთ და ყოველი სეზონის მოდის კვირეულების მიმოხილვა თუ ტენდენციები ცალკე გამოცემად ვაქციოთ. მით უმეტეს, რომ HELLO! FASHION-ის პირველმა ნომერმა ჩვენი მკითხველებისგან საოცრად დადებითი შეფასებები და გამოხმაურება დაიმსახურა, ეს კი ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტიმულია.

2017 წლის შემოდგომა/ზამთრის მოდური ტენდენციებისა და მოდის ოთხივე დედაქალაქის ჩვენებების მიმოხილვებით დაკომპლექტებული ჟურნალი, გაზაფხულამდე გაგიწევთ შეუცვლელი FASHION-გზამკვლევის ფუნქციას. ნიუ-იორკის, ლონდონის, მილანისა და პარიზის შოუებთან ერთად, ცხადია თბილისის MERCEDES BENZ-ის მოდის კვირეულის ფარგლებში წარმოდგენილ კოლექციებსაც მიადევნებთ თვალს.
ვფიქრობთ, გამოცემა, საკმაოდ საინტერესო საკითხავთან ერთად, ვიზუალურადაც ძალიან ეფექტური და სახალისოა. მსგავსი ტიპის ჟურნალი კი ქართული ბაზრისთვის სრულიად უპრეცედენტო და ინოვაციური გახლავთ. მოხარულები ვართ, რომ სწორედ **HELLO!**-ს გუნდს ერგო პატივი მოდის მოყვარულები ასეთი ტიპის გამოცემით გაანებივროს.

ჩვენი ჟურნალის გამოსვლა, ამჯერადაც თბილისის MERCEDES BENZ-ის მოდის კვირეულს დავამთხვიეთ. ღონისძიების ოფიციალური მხარდამჭერი კვლავაც **HELLO!** გახლავთ და ვფიქრობ სამომავლოდ კიდევ უფრო ინტენსიურად ვითანამშრომლებთ – ცხადია, ქართული მოდის ინდუსტრიის პოპულარიზაციისა და ჩვენი კულტურის საერთაშორისო ბაზარზე გატანის კუთხით.
ასე რომ, წინ კიდევ ბევრი საინტერესო პროექტი და სიახლე გველის, იქამდე კი გიტოვებთ **HELLO!** FASHION-ის რიგით მეორე გამოცემას და გემშვიდობებით გაზაფხულამდე. ჩვენს ყოველთვიურ ჟურნალს კი ტრადიციულად, ყოველი თვის 1 რიცხვში დაელოდეთ.

ნინო იოსელიანი
მთავარი რედაქტორი

PATRIZIA PEPE
'Bang Bang' Starring Dua Lipa
patriziapepe.com
ADDRESS: Tbilisi, Paliashvili st. 41; Vekua st. 3 – Shopping Center GTC
PHONE: 032 2 060 070
INSTAGRAM: PODIUM.BEAUTY.SALON.AND.SHOP
FACEBOOK: Podium. Beauty Salon & Shop/ პოდიუმი. სილამაზის სალონი და მაღაზია

HELLO! GEORGIA

#02 • 2017/18

სარჩევი

30 ..... CHANEL
38 ..... DIOR
46 ..... GIAMBATTISTA VALLI
50 ..... ELIE SAAB
56 ..... VALENTINO
60 ..... BALENCIAGA
54 ..... CHLOE
68 ..... STELLA McCARTNEY
72 ..... HERMÈS
76 ..... LOUIS VUITTON
80 ..... DOLCE & GABBANA
86 ..... BLUMARINE
90 ..... GIORGIO ARMANI
94 ..... VERSACE
100 ..... ETRO
104 ..... GUCCI
108 ..... PRADA
112 ..... MISSONI
114 ..... MIU MIU
116 ..... MAX MARA
120 ..... OSCAR DE LA RENTA
126 ..... RALPH LAUREN
128 ..... CALVIN KLEIN
130 ..... VICTORIA BECKHAM
132 ..... MARY KATRANTZOU
134 ..... BURBERRY
138 ..... DAVID KOMA
142 ..... AVTANDIL
144 ..... GEORGE KEBURIA
146 ..... SITUATIONIST
148 ..... ANOUKI
150 ..... TAMUNA INGOROKVA
152 ..... JABA DIASAMIDZE
154 ..... LALO

HELLO! GEORGIA

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ნინო იოსელიანი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნანკა კიკალია

მარკეტინგი
მარიამ ზაქარეიშვილი,
ნინუცა მაისურაძე

მოდის რედაქტორი თათია ლაშაური

ფოტორედაქტორი სოფო იოსელიანი

ფოტო GETTY IMAGES

დიზაინი Ines Alvarez

მთავარი დიზაინერი
დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO!

INTERNATIONAL

FOUNDER ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
HONRARY PRESIDENT EDUARDO SANCHEZ JUNCO
PRESIDENT MERCEDES JUNCO CALDERON
CHIEF EXECUTIVE OFFICER
EDUARDO SANCHEZ PEREZ
GENERAL MANAGER JAVIER JUNCO AGUADO

ქართული ფონტები BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

დაბეჭდილია სააგბაში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
ტელეფონი: 00 995 322 53 03 62 TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege

რედაქციის მისამართი: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ.**: +995 32 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

Miss Selfridge

Tbilisi Mall

f @MissSelfridgeGeorgia

PRET-A-PORTER

შემოდგომა/ზამთარი 2017

I LOVE
MY CAT

DIOR

მარტივი და დახვეწილი, ნაზი და მკაცრი – ამ სეზონზე მოდური ტენდენციები ყველაზე კონტრასტულ და განსხვავებულ სტილთა კომბინაციებით იქმნება

ერთთვიანი მოდური აურზაური ამჯერადაც ტრადიციულად საფრანგეთის დედაქალაქში დაგვირგვინდა. პარიზის მოდის კვირეულში 50-მა უცხოელმა დიზაინერმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო 1500 ჟურნალისტი, ბლოგერი, ფოტოგრაფი, მოდელი, ბაიერი და ვიზაჟისტი ღონისძიებისთვის მოდის მექაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩავიდა.

ეს სეზონი საკადრო ცვლილებების კუთხითაც გამორჩეული გახლდათ: რიკარდო ტიშიმ GIVENCHY-სთან 12-წლიანი თანამშრომლობა დაასრულა და განაცხადა, რომ სურს საკუთარი ბრენდის შექმნას უფრო მეტი დრო დაუთმოს. თუ ჭორებს დავუჯერებთ, იტალიელი დიზაინერი სამშობლოში დაბრუნებას და VERSACE-სთვის მუშაობას გეგმავს, თუმცა ამ ინფორმაციას ოფიციალურად არცერთი მხარე არ ადასტურებს.

რიკარდოს ადგილი GIVENCHY-ში ბრიტანელმა კლერ ვიოტ კელერმა დაიკავა, რომელიც აქამდე CHLOE-ს ედგა სათავეში. ამ უკანასკნელის ყოფილ თანამდებობაზე ნატაშა რამსი-ლევი დამტკიცდა – დიზაინერი, რომელიც LOUIS VUITTON-ის PRET A PORTER ხაზზე მუშაობამდე, BALENCIAGA-ში ნიკოლა გესკიეს პირადი ასისტენტი გახლდათ.

ცხადია, პარიზის მოდის კვირეულის კულმინაცია ამჯერადაც CHANEL-ის შოუ აღმოჩნდა.

კარლ ლაგერფელდმა პოდიუმი კოსმოსურ სადგურად აქცია, მოდელებმა კი ფუტურისტული ასტრონავტების უნიფორმები მოირგეს. ტვიდით, დელიკატური ქსოვილებითა და თვალისმომჭრელი მბზინვარებით მდიდარ კოლექციას საკმაოდ არაორდინარული აქსესუარები და სამკაულებიც ამშვენებდა.

SAINT LAURENT-ის ამჟამინდელმა კრეატიულმა ხელმძღვანელმა – ენტონი ვაკარელომ, რომელმაც პოსტი ჰედი სლიმანის წასვლის შემდეგ გადაიბარა, მოდის მოყვარულებს რიგით მეორე კოლექცია წარუდგინა. SAINT LAURENT-ის „ქალი“ 2017 წლის შემოდგომა/ზამთრისთვის ფემინური და სექსუალურია – ატარებს დიდი დოზით ტყავსა და გამჭვირვალე ქსოვილებს, და მკაცრ ტუქსედო-

სეზონის მთავარი მოდური ტონალობები ვერცხლისფერი და წითელი გახლავთ. ასევე უხვად გვხვდება კომფორტული სტილის ლაბადები XL ქამრებით

ებსა თუ ასიმეტრიულ კაბებს ირგებს.

სეზონის კიდევ ერთი ფავოროტი შოუ, BALENCIAGA-სათვის დემნა გვასალიას მიერ შექმნილი კოლექციის ჩვენება გახლდათ. ქართველი დიზაინერი, რომელიც ლეგენდარულ ფრანგულ მოდის სახლს 2015 წლიდან უძღვება, ყოველთვის ახერხებს ბრენდის რეპუტაციასა და ხედვას საკუთარი ავთენტური შტრიხები შემატოს. დემნამ ამ სეზონზეც უხვად შემოგვთავაზა პოსტსაბჭოური ელემენტები, TRASHY-ესთეტიკის სამოსი და ცხადია, დიდი დოზით STATEMENT-აქსესუარები და ფეხსაცმელი.

გამორჩეული გახლდათ HERMES-ის კოლექციაც – გამოყენებულ ფაქტურებს შორის ტყავი, შალი და ხელით შესრულებული ნაქარგებითა და პრინტებით გაწყობილი აბრეშუმი დომინირებდა.

პარიზთან ერთად, საკმაოდ დასამახსოვრებელი იყო მილანის მოდის კვირეულიც. VERSACE-მ ფუტურისტულ მოტივებზე შექმნილი სპორტული სამოსისა და ბეწვის ნაზავით შექმნილი საკმაოდ თამამი კოლექცია შემოგვთავაზა. DOLCE & GABBANA-მ კი ტრადიციულად აქცენტი ბაროკოს ესთეტიკასა და ყვავილებიან პრინტებზე გაამახვილა.

ლონდონური ჩვენებების HIGHLIGHT-ი DAVID KOMA-ს შოუ გახდა. დიზაინერმა ქართულ მოტივებზე შექმნილი სამოსი წარმოადგინა, რომელიც „წითელ ხალიჩაზე“ ბელა ჰადიდმა და კარა დელევინმა მალევე მოირგეს.

სწორედ დავითისა და დემნას წყალობით, საქართველო მსოფლიო FASHION-რუკაზე კიდევ ერთხელ მოინიშნა. მაისში გამართულ MERCEDES BENZ-ის მოდის კვირეულს, რომელზეც დიზაინერებმა 2017 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციები წარმოადგინეს, უპრეცედენტო გამოხმაურება და მსოფლიო პრესის მხრიდან საკმაოდ დადებითი შეფასებები მოჰყვა.

გიორგი ქებურიას ჩვენების შემდეგ, მისი კოპლებიანი კაბა მალევე მოირგო LADY GAGA-მ. თამუნა ინგოროყვას სამოსით კი, სხვებთან ერთად ჯიჯი ჰადიდიც ვიხილეთ.

BLUMARINE

TRENDS

GUCCI

ERDEM

DOLCE AND GABBANA

შემოდგომის ყვავილები

ამ სეზონზე თქვენს მოდურ გარდერობს, სხვა MUST HAVE-ებთან ერთად, რომანტიკული სტილის ჰაეროვანი კაბებიც დაამშვენებს, თანაც — აუცილებლად მხიარულ ფერებში გადაწყვეტილი ყვავილებიანი პრინტით. თუ ამ სტილის სამოსი აქამდე მხოლოდ გაზაფხულსა და ზაფხულში იყო აქტუალური, ამჯერად ამ ტენდენციამ შემოდგომა/ზამთარშიც გადმოინაცვლა.


TEMPERLEY-LONDON


CHRISTOPHER KANE

GIAMBATTISTA VALLI

MOSCHINO

STELLA McCARTNEY

FENDI

საქმიანი ქალბატონი

განიერი მხრები, მკაცრი პიჯაკები და აკადემიური სტილის შარვლები თუ ქვედაბოლოები ამ სეზონისთვის თანამედროვე მოდური ქალბატონის გარდერობად იქცა. თამამად მოირგეთ არაორდინარული სილუეტები მასკულინური აქცენტებით, წელში გამოყვანილი ფორმებითა და ფემინური შტრიხებით.


ALEXANDER McQUEEN

LOEWE

MARNI

BALENCIAGA

ურბანული შიკი

შემოდგომა/ზამთარი მოდური ექსპერიმენტებისა და კარგად მივიწყებული ძველი ტენდენციების გაცოცხლებისთვის საუკეთესო სეზონია. შეურიეთ ერთმანეთს განსხვავებული ეპოქებისთვის დამახასიათებელი სტილი და სილუეტები, მოირგეთ მაღალწელიანი სამოსი, ვინტაჟური პერანგები, ბეწვი და STATEMENT-აქსესუარები.

ELIE SAAB

MOSCHINO

BOTTEGA VENETA

MAX MARA

ALEXANDER Mc QUEEN


BOTTEGA VENETA

AKRIS

ყელიანი სამოსი

თბილისური ზამთრის თბილ ამინდებში თამამად შეგიძლიათ ქუჩაში ქურთუკის გარეშე გამოსვლა. ასეთ დროს ძალიან კომფორტულია ნაქსოვი ყელიანი სვიტერები, რომლებსაც ზამთარში ლაბადების ქვეშაც მოირგებთ. შეუხამეთ როლინგები თქვენს მთლიან LOOK-ს და აქცენტი მონოქრომულ ტონალობებზე გაამახვილეთ.

BALENCIAGA

MAX MARA

DOLCE & GABBANA


ELIE SAAB

შავი ბაფთები

ვინტაჟური სტილის კაბებსა და არშიებიან პერანგებს ამ სეზონზე დიზაინერებმა ერთი საკმაოდ საინტერესო დეტალი შემატეს — სხვადასხვა ფორმის ყელსახვევები და ბაფთები. ამ თითქოს ერთი შეხედვით უმნიშვნელო STATEMENT-აქსესუარის მეშვეობით, თქვენი LOOK-ი მნიშვნელოვნად შეგიძლიათ გაახალისოთ.

CHLOE

DOLCE & GABBANA

CAROLINA HERRERA

ELIE SAAB

PRADA

BALENCIAGA

ბუმბულებით თამაში

ზოგჯერ მოდა დროში მოგზაურობის იდეალურ შანსს გვაძლევს — ბუმბულებით გაწყობილი სამოსის დახმარებით, მარტივად შეგიძ-ლიათ თავი მეცხრამეტე საუკუნის ბოჰემურ პარიზში, კაბარეს ეპოქაში ამოყოთ. საოცრად მდიდრული და დახვეწილი სილუეტები, ბისერები, თვლები და ბუმბულები ამ სეზონზე ყველაზე სექსუალური და თამამი მოდური ტენდენცია გახლავთ.

SONIA RYKIEL


ALEXANDER MCQUEEN

GUCCI



ALEXANDER MCQUEEN

თავბრუდამხვევი ბოჰემა

თვალისმომჭრელი პრინტების მიქსი, ეთნოდეტალები, თამამი TRIBAL-აქცენტები და საფესტივალო სეზონისთვის დამახასიათებელი ფერადოვნება შემოდგომა/ზამთარშიც ისეთივე აქტუალურია, როგორც „კოაჩელას“ პერიოდში. თუ საზაფხულოდ ამ სტილის შიფონის სარაფნებსა და თხელ პონჩოებს ირგებდით, ამჯერად შეგიძლიათ ბოჰემური სტილის ლაბადებით, თბილი ბლუზებითა და ქურთუკებით გაიმდიდროთ გარდერობი.

LOEWE

ETRO

DOLCE & GABBANA

STELLA McCARTNEY

DOLCE & GABBANA



ALTUZURRA

MAX MARA

ხავერდოვანი რევოლუცია

2017 წლის შემოდგომა/ზამთარში ძვირფასი ფაქტურები კოქტეილის კაბებთან ერთად თქვენს ყოველდღიურ ჩაცმულობასაც დაამშვენებს. მდიდრული ხავერდი მბზინვარე აქცენტებით სეზონის კიდევ ერთი აქტუალური ტრენდია, რომელსაც კოლექციებში სხვებთან ერთად აქტიურად იყენებენ **ELIE SAAB**-ი და **STELLA McCARTNEY**. რომანტიკული ვიქტორიანული სტილის სამოსთან ერთად, ხავერდის პიჯაკებსა და შარვლებს **DOLCE & GABBANA** და **MAX MARA**-ც გვთავაზობენ.



BLUGIRL

DIOR

ELIE SAAB

PAUL AND JOE

VIONNET

HOUSEOFHOLLAND

მოდური დენიმი

ჯინსი ალბათ ის ერთადერთი ფაქტურაა, რომელიც ყოველ სეზონზე განსხვავებული სტილით გვევლინება პოდიუმზე. გასული სეზონის ჰიტადქცეული ნაქარგებიანი დენიმის შემდეგ, 2017 წლის შემოდგომა/ზამთრისთვის ვინტაჟური სტილის ჯინსის სლაქსები, მთლიანი კომბინეზონები და კლასიკური პიჯაკებია მოდაში. სწორად შეხამებული ფეხსაცმლის, აქსესუარებისა და ზედატანების მეშვეობით, დენიმის ყოველდღიური შარვალი თქვენი სურვილისამებრ შეგიძლიათ მოირგოთ როგორც ყოველდღიურ, ასევე სადღესასწაულო LOOK-თან.

STELLA McCARTNEY

CALVIN KLEIN

DIOR

DOLC E& GABBANA

DOLCE &GABBANA

BALENCIAGA

BLUGIRL

ჯუნგლების კანონი

2017 წლის შემოდგომა/ზამთრისთვის, დიზაინერები ქალბატონებს „ველურ პანტერად“ გარდასახვას ურჩევენ. ბეწვიან ქურქებთან ერთად, მოდის წამყვანი სახლები ANIMAL PRINT-ის კაბებისა და სვიტერების საკმაოდ ფართო არჩევანს გვთავაზობენ. **GUCCI**-ს ტყავის ლაბადებს პრინტად პითონის იმიტირებული კანი ამშვენებს. **ETRO**-სა და **DOLCE & GABBANA**-ს ქალბატონი კი ამ სეზონზე თამამად ატარებს კლასიკური სტილის კაბებს ცხოველების გამოსახულებიანი პრინტებით.


LOEWE

ETRO

GUCCI

CHLOE

DOLCE & GABBANA

კოსმოსური ოდისეა

ასტრონავტის უნიფორმის მოდურ ტენდენციად გარდასახვა **CHANEL**-ის ჩვენების დამსახურებაა, რომლის მთავარ თემად კარლ ლაგერფელდმა თანამედროვე ტექნოლოგიები და ღია კოსმოსი აირჩია. ფუტურისტული სილუეტები და მზის სისტემის პლანეტები პრინტებად სეზონზე დენიმთან, ტვიდთან და აბრეშუმთან კომბინაციაშიც მოგვევლინა პოდიუმზე.

CHANEL


CHANEL

ISABEL MARANT

CHANEL

OSCAR DE LA RENTA

PACORABANNE

ვერცხლისფერი ნათება

გაიმხიარულეთ ზამთრის ნისლიანი ამინდები ფუტურისტული ფორმის სამოსითა და მეტალიკის აქცენტებით — შეიძინეთ **CHANEL**-ის დიზაინის ინსპირაციით შექმნილი მბზინვარე ლაბადა გარდამავალი ფერებითა და განიერი მხრებით, და ნურც ამავე ტონის ფეხსაცმელი დაგავიწყდებათ. მეტი შთაგონებისთვის, გადახედეთ **BALENCIAGA**-ს ჩვენებას, რომელზეც ქართველმა დიზაინერმა, დემნა გვასალიამ უხეში ტყავისგან შექმნილ მეტალიკის ქვედაბოლოს ნაქსოვი ყელიანი სვიტერი შეუხამა.

BALENCIAGA

BOTTEGA VENETA


ROCHAS


BALMAIN

ოქროსფერი მბზინვარება

შემოდგომა/ზამთრის მოდურ ტენდენციებში ყოველთვის მოიაზრება ის სამოსი, რომელიც ახალი წლის ღამეს უნდა მოირგოთ. მოდის წამყვანი სახლები გვირჩევენ, ამ სეზონზე ჩვენი გარდერობი მეტალებით გაწყობილი თამამი კოქტეილის კაბებით გავამდიდროთ. **MOSCHINO** მთლიანად ჯაჭვებით შექმნილ ოქროსფერ მინიკაბასთან ამავე ტონის ბეწვის შემოსაცმელის ტარებას გვირჩევს, **BALMAIN**-ი კი ყავისფერ ზამშეს ბოტფორდებს „უწევს რეკომენდაციას“.

PACO RABANNE

MOSCHINO

GUY LAROCHE


CAROLINA HERRERA


DOLCE & GABBANA

ISABEL MARANT

ავიატორის პიჯაკები

იმისათვის, რომ ზამთარში თავი კომფორტულად იგრძნოთ, სიცივემ არ შეგაწუხოთ და არც მოდას ჩამორჩეთ, თქვენს სეზონურ გარდერობს ავიატორის უნიფორმით ინსპირირებული ბეწვიანი ლაბადა უნდა შემატოთ. ტრენდი, რომელიც მოდაში გასულ ზამთარს დემნა გვასალიას დამსახურებით დაბრუნდა, მალევე აიტაცეს სხვა დიზაინერებმაც. **ISABEL MARANT**-ი AVIATOR JACKET-ის უფრო ბოჰემურ ვერსიას გვთავაზობს, **ETRO**-ს ლაბადა კი ეთნომოტივებზეა შექმნილი.

ETRO

PRADA

JENNY PACHAM

ALTUZARRA

BALENCIAGA

სუსხიანი დღეები

შემოდგომასა და ზამთარში, ყოველთვის გააკეთეთ ისე, რომ ლაბადა და ქურთუკი მთლიანი LOOK-ის ნაწილად აქციოთ. შეუხამეთ სტილი, ფერი და ეცადეთ თქვენი ჩაცმულობით მათზეც მოახდინოთ შთაბეჭდილება, ვინც არ იცის შიგნით რა გაცვიათ. ამ ყველაფერში კი ის მოდური პონჩოები დაგეხმარებათ, რომლებიც წამყვანმა დიზაინერებმა თქვენთვის 2017 წლის ზამთრის სუსხიანი დღეებისთვის შექმნეს. ამ სეზონზე ლაბადები განსაკუთრებულად კომფორტული დიზაინით, ბეწვის დეტალებითა და მასიური ღილებით გამოირჩევა.

BOTTEGA VENETA


VALENTINO

CHLOE

CHANEL

2017 წლის შემოდგომა/ზამთრის შოუსთვის კარლ ლაგერფელდმა პოდიუმი კოსმოსურ სადგურად, ხოლო მოდელები ფუტურისტულ ასტრონავტებად აქცია. მომავლის ტექნოლოგიებით, გალაქტიკის მაგიური უსასრულობითა და ცხადია, ქალის სხეულით ინსპირირებულმა დიზაინერმა **CHANEL**-ის კიდევ ერთი დაუვიწყარი კოლექცია წარუდგინა პუბლიკას.

CHANEL

1. ცხადია, **CHANEL**-ის შოუს A-LIST სუპერმოდელებიდან არცერთი არ გამოკლებია. ჯიჯი ჰადიდი ჩვენებაზე შავ-თეთრ ტვიდის კომბინეზონში ვიხილეთ.
2. ქალბატონებთან ერთად, კარლმა მამაკაცებისთვისაც წარმოადგინა სამოსი.
3. დახვეწილი სტილის ლაბადა, ჩანთა ჯაჭვიანი საკიდით, მბზინვარე ფეხსაცმელი და თვლებიანი თავსაბურავი — დეტალებში კარლ ლაგერფელდის ხელწერას მარტივად ამოიცნობთ.
4. კიდევ ერთი სუპერმოდელი პოდიუმზე — კენდალ ჯენერმა მუხლამდე ტვიდის ლაბადასთან საკმაოდ საინტერესო აქსესუარები მოირგო: კრისტალებიანი თავსაბურავი და გადაჭრილი ხელთათმანი.

3

4

CHANEL

1. ნაცრისფერი და ვარდისფერი — ფერთა ერთ-ერთი ყველაზე დელიკატური და მომგებიანი შეხამება.
2. ამ LOOK-ში განიერმხრებიან კუბოკრულ პიჯაკსა და STATEMENT ფეხსაცმელთან ერთად, კრისტალებიანი ყელსაბამი და ჩანთაც საგულისხმოა.
3. ნაცრისფრის მონოქრომული ტონალობებით შექმნილ

LOOK-ს მეტალიკის მბზინვარე აქცენტები უფრო დახვეწილს ხდის.
4. CASUAL სტილის ტვიდის კაბა საკმაოდ ორიგინალური ყელით ასტრონავტის უნიფორმის ინსპირაციითა შექმნილი.

CHANEL

1. კვლავ მბზინვარე ელემენტები, კაშკაშა ვარსკვლავების სინათლე ყელსაბამად და ნახევარმთვარის ფორმის პრინტები ბლუზაზე.

2. ტვიდის ამ DUO-ს ნათლად ატყვია **CHANEL**-ის კლასიკადქცეული ხელწერა. საკმაოდ კარგადაა შეხამებული ფერებიც.

3. ლაქის მწვანე ლაბადა ერთმანეთში ულამაზესად გარდამავალ ფერებში — კოლექციის საუკეთესი დაგვირგვინება.

DREAMLAND
OASIS HOTEL
ჩაქვი, ბათუმის ქ.16
+995 32 247 22 33
info@hoteloasis.ge
www.hoteloasis.ge

DIOR

„მუქი ლურჯი ერთადერთი ფერია, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს შავს“, — ამბობდა კრისტიან დიორი. მოდის სახლის ახლანდელი კრეატიული ხელმძღვანელი, მარია გრაცია ქიური კი როგორც ჩანს **DIOR**-ის დამფუძნებლის მოსაზრებას სრულიად ეთანხმება. 2017 წლის შემოდგომა/ზამთრისთვის ლეგენდარული ბრენდი საკმაოდ ნოსტალგიურ და დახვეწილ კოლექციას წარმოგვიდგენს — ტრადიციულად საოცრად ფემინურსა და მუქი ლურჯის მონოქრომულ ტონებში გადაწყვეტილს.

1
2

DIOR

მუქი ლურჯი გამორჩეულად ღრმა და მისტიკური ფერია, რომელიც ერთდროულად ოკეანის სიღრმეებსა და უძირო ცასთან ასოცირდება. შავში გარდამავალი ლურჯი სამოსით, პოდიუმზე წყალქვეშა სამყარო ცოცხლდება, კაბები კი აღელვებულ ოკეანეს მოგაგონებთ (*1-4*). ოქროსფერი აქცენტების მეშვეობით, მოდელები ღამის ცაზე მოციმციმე ვარსკვლავებს უფრო გვანან (*2-3*).

DIOR

მარია გრაცია ქიურის ხელწერა მთელ კოლექციას შესანიშნავად ეტყობა. ლურჯი ფერით შთაგონებული დიზაინერი მისთვის ჩვეულ სილუეტებსაც არ ივიწყებს.

1. ორგანზის საღამოს კაბა გასული სეზონების ჰიტადექცეული სტილის ახლებური ვერსიაა, რომელიც აუცილებლად შიშველ სხეულზე უნდა მოირგოთ.

2. ტიულითა და ფოჩებით გაწყობილ კაბასთან, ტყავის ბერეტიც შეგიძლიათ ატაროთ.

3. ეს კაბა კოლექციის ყველაზე ზღაპრული, ჰაეროვანი და პრინცესული LOOK-ი გახლავთ.

4. ტაფტის დახურული კაბაც მთლიანად ლურჯ ფერშია გადაწყვეტილი, სტილით კი ვიქტორიანული ეპოქითაა ინსპირირებული.

3
4

DIOR

კოლექცია ერთი მთლიანობაა, სადაც ყველა LOOK-ი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. პოდიუმზე სამოსით თითქოს მივიწყებული ემოციები და მოგონებები ცოცხლდება. **DIOR**-ის სათავეში მყოფი პირველი ქალბატონი — მარია გრაცია ქიური ძალიან კარგად ახერხებს არ უღალატოს ფრანგული მოდის სახლის ხელწერას და ამავდროულად სამოსში საკუთარი ინდივიდუალური შტრიხებიც შეიტანოს.

1. კომფორტული სტილის ლაბადა, მოდური ბოტფორდები და ბერეტი — ყველაფერი, რაც სუსხიანი ზამთრისთვის მოდურ ქალბატონს სჭირდება.

2. თავიდან ფეხებამდე შავი LOOK-ი — რეტროსტილის ქვედაბოლო, პერანგი, პიჯაკი, ბერეტი და წელზე გადაკიდული ჩანთა მეტალიკის აქცენტებით.

3. DIOR-ისეული ბოჰემური სტილი — მაღალწელიანი ჯინსის შარვალი ვინტაჟურ სტილში, მუქი ლურჯი პერანგი, ყელსაბამები და დიდი ზომის პონჩო.

ჩვენ ვაშენებთ
თქვენს ოცნებებს

Grupo Las Rosas

INTERNACIONAL

grupolasrosasinternacional.com

GIAMBATTISTA VALLI

თამამ, და ფერების კუთხით საკმაოდ მდიდარ კოლექციას წარმოგვიდგენს **GIAMBATTISTA VALLI**.

1. მკვეთრი წითელი კაბა არშიებით ფლამენკოს მოცეკვავის სამოსს მოგვაგონებს. თასმებიანი ფეხსაცმელი იგივე ტონში ძალიან უხდება მთლიან LOOK-ს.

2. თეთრი ჰაეროვანი კაბა რომანტიკული პრინტებითა და დახურული გულით, ერთდროულად ვინტაჟურიცაა და თანამედროვეც.

3. კვლავ ცეცხლოვანი წითელი — ამჯერად ლაბადა განიერი მხრებითა და დიდი ჯიბეებით, შეხამებული ტყავის თეთრ ჩანთასთან.
4. ხელით შესრულებული ნაქარგები ამ კაბას კიდევ უფრო დახვეწილსა და მდიდრულს ხდის.

GIAMBATTISTA VALLI

1. შავი, თითქმის გამჭვირვალე კაბა ტუჩების ფორმის ორნამენტებით კოლექციას უფრო გოთურ ელფერს სძენს.
2. კოქტეილის წითელი მინიკაბა გულზე არშიებით ნებისმიერ წვეულებაზე დაგამშვენებთ, მით უფრო — შესაბამის ფეხსაცმელთან ერთად.
3. ამ კოპლებიან შავ კაბას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას წელზე შემოკრული სარტყელი და გადმოკიდული მკლავები ჰმატებს.

3. რომანტიული სტილის ჰაეროვანი კაბა გრაფიკული აქცენტებით კოლექციის ძირითად თემატიკაში საკმაოდ კარგად ჩაჯდა.
4. თეთრი ლაბადა ყავილებით და ტყავის კლატჩი-სამოსისა და STATEMENT აქსესუარის დუეტი.

ELIE SAAB

ამ სეზონზე ლიბანელი დიზაინერი ბალეტის ესთეტიკითა და დრამატულობითაა შთაგონებული. „ჟიზელის“ მოტივებზე შექმნილი კოლექცია სიყვარულის, ბედნიერებისა და ქორეოგრაფიის ნამდვილი დღესასწაულია. „ჟიზელის“ მთავარი გმირის ვნებები თეატრალიზებულ ჩვენებაზე საკმაოდ კარგად გარდაიქმნა მდიდრულ და დახვეწილ სამოსად. კრისტალებითა და თვლებით შექმნილი შავი სადღესასწაულო კაბა კოლექციის ძირითად კონცეფციას ეხმიანება — მდიდრული მბზინვარება და დრამატული ფერთა გამა ძალიან უხდება საბალეტო ხელოვნებით ინსპირირებულ ჩვენებას. მსგავსი ტიპის სამოსზე შემოცმული ბაიკერის სტილის შავი ტყავის ქურთუკი კი კოლექციას უფრო თანამედროვე ელფერს სძენს.

1
2

ELIE SAAB

დახვეწილ ნაქარგებს კოლექციაში თითქმის ყველა ფაქტურაზე შეხვდებით. დელიკატური და რომანტიკული FLORAL ორნამენტები და ბუმბულის საყურეები ჟიზელის ტრაგედიის სიმბოლოა და ახალგაზრდობის, სილამაზისა და გრძნობების ისტორიას გვიყვება (*1,2,4*). **სინდი ბრუნას** მაქმანებით შექმნილ შავ „დაცემულ“ კაბას თამამი დეკოლტე და წელზე სარტყელები ამშვენებს (*3*).

ELIE SAAB

1. ბეწვი კოლექციას კიდევ უფრო თეატრალიზებულსა და დრამატულს ხდის, განსაკუთრებით იმ LOOK-ებში, სადაც მდიდრული ქურქი შიფონის გამჭვირვალე კაბასთანაა შეხამებული.

2. მონოქრომული ტონებისა და დელიკატური ფაქტურების ნამდვილი ზეიმი — მუქი ლურჯი ბეწვის ქურქი, შეხამებული ამავე ფერის ხავერდის კაბასთან, რომელსაც მაქმანების აქცენტები უფრო მიმზიდველს ხდის.

საკონსულტაციო კომპანია

ETERE PR AGENCY

- ბრენდინგი
- მედიადაგეგმარება
- საკომუნიკაციო კამპანიები
- სოციალური მედიის მარკეტინგი
- პროდუქციის რეკლამირება
- ღონისძიებების დაგეგმვა

fb.com/EtereAgency
+ 995 0322 98 03 98

VALENTINO

კოლექციაში, სადაც ქაოსი და ჰარმონია ერთმანეთს იდეალურად ერწყმის, ძირითადი აქცენტი ფორმებსა და ფერებზე მახვილდება. ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელი სილუეტები დეკონსტრუქციის ელემენტებით ის ინოვაციაა, რომელსაც **VALENTINO** ამ სეზონისთვის პირველად წარმოგვიდგენს. ტიულის, შიფონისა და აბრეშუმის ქსოვილების მეშვეობით, პოდიუმზე ვიქტორიანული ეპოქა ცოცხლდება.

1
2

VALENTINO

1. შუა საუკუნეების ესთეტიკის შავი კაბა მკაცრი ფორმითა და გამჭვირვალე დეტალებით.
2. შიფონის შავი კაბა ხავერდის მკვეთრი ვარდისფერი დეტალებითაა გაფორმებული, რომლებიც ფოჩების იმიტაციას ქმნიან.
3. კოლექციაში საკმაოდ მოულოდნელად შემოდის პასტელის ვარდისფერი ტყავის ლაბადა, რომელსაც მოდელი ჰაეროვან წითელ კაბასა და ჟოლოსფერ ჩექმასთან ირგებს.
4. თავბრუდამხვევი პრინტებითა და ორნამენტებით შექმნილი ტყავის ლაბადა და თასმებიანი, უხეში ზამთრის ფეხსაცმელი საკმაოდ არაორდინარული LOOK-ია.

BALENCIAGA

ფემნა გვასალია მოდის მოყვარულების გაკვირვებას არ წყვეტს. უკვე 2 წელია, რაც ქართველმა დიზაინერმა **BALENCIAGA**-ს კრეატიული ხელმძღვანელის საპატიო პოსტი მოირგო და ლეგენდარული ფრანგული ბრენდის რეპუტაციასა და ხელწერას სრულიად ახლებური, პოსტსაბჭოური ელფერი შესძინა.

1. დემნას სავიზიტო ბარათი დეკონსტრუქცია და ძველი ფორმებისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭებაა — კუბოკრული ლაბადა, რომელიც გულის ნაცვლად მხარზე იკვრება. ეს ქართველი დიზაინერის შექმნილი კიდევ ერთი MUST HAVE-ია.
2. BALENCIAGA არ უშინდება TRASHY ესთეტიკის პოპულარიზაციას — ANIMAL პრინტის ქურქი და დიდი ზომის ჩანთა 1990-იანი წლების სტილში ამისი ნათელი დასტურია.
3. უკვე ლეგენდადქცეული წითელი PUFFER ქურთუკის შემდეგ, დემნა ამჯერად იგივე სტილის ჭაობისფერ ვარიაციას გვთავაზობს.
4. კვლავ საბჭოური სტილი — ქვედაბოლო ყვავილებიანი პრინტებით და დიდი ზომის ნაქსოვი ყელიანი სვიტერი.

PRADA

1. ნაცრისფერი კუბოკრული ლაბადა განიერი მხრებით — კოლექციის ერთ-ერთი ფავორიტი LOOK-ი.
2.ჩვენების დასკვნით ნაწილში, დიზაინერ **BALENCIAGA**-ს არქივებიდან აღებული ინსპირაციით, ვინტაჟური COUTURE კაბებიც გააცოცხლა.

CHIGOGIDZE
WINES®

THE BEST WINE
FOR THE
BEST PEOPLE™

საუკეთესო ღვინო
საუკეთესო ხალხისთვის™

+995 32 2194455 info@chigogidzewines.com www.chigogidzewines.com

CHLOE

ალისას საოცრებათა ქვეყანაში ჩვენს ათწლეულში რომ ემოგზაურა, გარდერობს აუცილებლად რომანტიკული სტილის სამოსით დააკომპლექტებდა. ლუის კეროლის ცნობილი რომანის მთავარი გმირი **CHLOE**-ს 2017 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციის მთავარი ინსპირაციაა.

1. რომანტიკული სტილის შიფონის მინიკაბა გეომეტრიული მოტივებით, შეხამებული ლაქის ფეხსაცმელთან და ჩანთასთან.
2. QUEEN OF HEARTS —კლასიკური სილუეტის ხავერდის წითელი კაბა დეკოლტეზე გულის ფორმის ჭრით.
3. შიფონის შავი ბლუზა არშიებითა და ნაქარგებით, მკაცრი სტილის შავ შარვალთან.

CHLOE

CHLOE-ს კრეატიულმა ხელმძღვანელმა, კლერ ვოიტ კელერმა ამ სეზონისთვის გლამურული და ამავდროულად ყოველდღიური კოლექცია „ფსიქოდელიური ოპტიმიზმის“ კონცეპტს დააფუძნა და მასში ვინტაჟური სილუეტები, ბაფთები, მაქმანები და რომანტიკული დეტალები გააერთიანა. დიზაინერის მთავარი მიზანი კლასიკური ფრანგული ბრენდის სამოსში ბრიტანული შტრიხების ჰარმონიულად შერევა გახლდათ. სწორედ ამ კონტრასტული მიქსის მეშვეობით, **CHLOE**-ს ქალბატონი 2017 წლის შემოდგომა/ზამთრისთვის „თეთრ კურდღელს“ თამამად მიჰყვება მოდის ფსიქოდელიურ და ჯადოსნურ სამყაროში.

1. TOMBOY-ს სტილით ინსპირირებული კომბინეზონი მასკულინური და ფემინური ესთეტიკის კლასიკური შერწყმაა, თანაც — ვინტაჟური დეტალებით.
2. შიფონის ჰაეროვანი მინიკაბა ყვავილებიანი პრინტებითა და ფერთა დელიკატური გამით.
3. შავი, თეთრი და ნაცრისფერი — კარგი მაგალითი იმისა, რომ დასამახსოვრებელი LOOK-ის შექმნა ყველაზე მარტივ ფერთა კომბინაციითაც შეიძლება.

STELLA MCCARTNEY

ბრიტანული აქცენტებით გაჯერებულ კოლექციას კუბოკრული პრინტები, ნაქსოვი სვიტერები და ყველა ის მნიშვნელოვანი დეტალი ამშვენებდა, რომლებსაც ლონდონელი დიდგვაროვნები ატარებენ. სტელა მაკარტნიმ საკმაოდ კარგად მოახერხა კომფორტული სტილის სპორტული სამოსის მკაცრ, ბრიტანულ ესთეტიკასთან შეხამება და ეს ყველაფერი მკაცრად შერჩეულ ფერთა გამას მოარგო. დეტალების კუთხით საკმაოდ მდიდარი და ორიგინალური კოლექცია ზამთრის სეზონური გარდერობისთვის ყველა მნიშვნელოვან ნივთს გვთავაზობს — ლაბადებს, შემოსაცმელებს, თბილ პიჯაკებს და ნაქსოვ სვიტერებს პრინტებით.

ჩვენება, რომელიც სამოსის კუთხით საკმაოდ დასამახსოვრებელი გახლდათ, სენტიმენტალურ ნოტაზე დასრულდა. დასკვნით ნაწილში, მოდელებმა ჯორჯ მაიკლის ცნობილ ჰიტს FAITH ააყოლეს ხმა და სპონტანური ცეკვაც შემოგვთავაზეს.

STELLA McCARTNEY

1. ორი განსხვავებული კუბოკრული პრინტის სინთეზი და პიჯაკი, რომელიც კაბის ნაცვლად შეგიძლიათ მოირგოთ.
2. თავბრუდამხვევი პრინტები და ფერთა ზღაპრული გამა — კაბა გრძელი, გაშვებული მკლავებითა და კომფორტული ფორმით.
3. კოლექცია ასევე გამორჩეული გახლდათ ნაქსოვი სვიტერებისა და თვალისმომჭრელი პრინტების კუთხით.

3

1
2
3

4

5

HERMÈS

ოდის ფრანგული სახლი, რომელიც ყველაზე ძვირადღირებულ ხელჩანთებთან ასოცირდება, ამ სეზონზე ფერებისა და ტექსტურების ნამდვილ რევოლუციას აწყობს.

1. მატყლის იისფერი ჟილეტი ტყავის ელემენტებით, საკმაოდ კონტრასტულ სამოსთან — ტყავის ლურჯ ქვედაბოლოსა და ფირუზისფერ პერანგთან.

2. კვლავ პერანგი — ამჯერად ყელიანი, თანაც ვინტაჟური სტილის, შეხამებული მაღალწელიან ტყავის შარვალსა და STATEMENT-ქამართან.

3. ტყავის მწვანე ლაბადა შიდა ბეწვითა და დიდი კაპიუშონით — მოდური და კომფორტული ნივთი ზამთრის სეზონისათვის.

4. მთელ კოლექციაში ძალიან კარგადაა გამოყენებული ქამრები.

5. იისფერ კაბას პონჩოს სტილის ზედა ნაწილით, ორმაგი ქამარი უფრო სექსუალურსა და დახვეწილს ხდის.

1
2
3

4

5

HERMÈS

1. ნაზი ტონალობების იდეალური თანხვედრა — ღია ვარდისფერი ტყავის ლაბადა ნაზი კრემისფერი ბეწვით, მონოქრომული ტონის ნაქსოვი ყელიანი სვიტერი, ბეჟი ქვედაბოლო და ყავისფერი, ყელიანი ზამთრის ფეხსაცმელი.
2. ფერთა კიდევ ერთი შესანიშნავი შეხამება — ამჯერად მონოქრომულ ტონალობებში.
3. ავიატორის სტილის თბილი პიჯაკი და ბეჟის გრადაციებით აწყობილი იდეალური LOOK-ი სუსხიანი სეზონებისთვის.
4. კოლექცია ზამთრის სუსხიანი ამინდებისთვის იდეალურ გარდერობს აკომპლექტებს.
5. ლაბადებთან და ქურქებთან ერთად, ფრანგული მოდის სახლი ზამთრის აქსესუარების ფართო არჩევანსაც გვთავაზობს.

LOUIS VUITTON

ყავს, როგორც მოსალოდნელი იყო, კოლექციაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მკაცრი ფორმები და მინიმალისტური POLISHED-სილუეტები ბეწვით, პომპონებითა და მეტალის დეტალებით გახლდათ გაფორმებული. კოლექციამ ნათლად დაგვანახა, რომ ტყავის ქურთუკი აუცილებლად ავიატორის სტილით ინსპირირებული არ უნდა იყოს (*1-2-4*). ჩვენებაზე საკმაოდ საინტერესოდ იყო გაშლილი მასკულინური სტილის პიჯაკების თემატიკაც (*3*).

3
4

LOUIS VUITTON

ლეგენდარული მოდის სახლის მთავარი მესიჯი ფუტურისტული ფორმების საკმაოდ თამამი ინტერპრეტაცია გახლდათ. 2017 წლის შემოდგომა-ზამთრისთვის **LOUIS VUITTON**-ის ქალბატონი სხვადასხვა იდენტობებს ირგებს. ატარებს მდიდრულ ბეწვს ლურჯი კომბინეზონის გარედან (*1*) და არც ბუმბულებიანი კორსეტ-ტოპისა და კონტრასტული ქვედაბოლოს მორგებას ერიდება (*2*).

Ricardo Sanz

ესპანელი პორტრეტისტი

Etere Agency

+995 577 12 22 08

DOLCE & GABBANA

Oტალიური ფერადოვნება და მდიდრული ქსოვილების ზეიმი **DOLCE & GABBANA**-ს კოლექციის მთავარ თემატიკას წარმოადგენდა. ბაროკოს სტილი, ყვავილების მოტივები, ნაქარგები და ჭრელი ორნამენტები — საკმაოდ მხიარულ და ფერად კოლექციაში ერთმანეთს პრინტები, ლოგოები და STATEMENT-

აქსესუარები შეერწყა (*1-2-3-4*). საკმაოდ კარგად გახლდათ გამოყენებული მბზინვარე ქსოვილები და ბრინჯაოსფრის გრადაციებიც (*5*).

1
2
3

DOLCE & GABBANA

1. კოლექციაში ჰაეროვანი რომანტიკული სტილის კაბებიც მიიქცევდა თქვენს ყურადღებას.

2, 3. საკმაოდ კარგად იყო გაშლილი დედებისა და შვილების თემა — პატარებმა უფროსების მსგავსი სამოსი თავდაჯერებულად მოირგეს.

4. მდიდრული სტილის მბზინვარე კაბებს ბეწვითა და ბუმბულებით გაწყობილი ქურქები ჰქონდა შეხამებული.

5, 6. კვლავ MOMMY AND ME-ს სტილი — დედები და შვილები იდენტურ LOOK-ებში.

DOLCE & GABBANA

1, 2, 3. კოლექციის კიდევ ერთი ხაზი ANIMAL-პრინტების გამოყენება გახლდათ. პიჯაკები, შარვლები, ლაბადები და ბოჰემური სტილის კაბები — **DOLCE & GABBANA**-მ მოდელები მოდურ „პანტერებად“ გარდაქმნა.

KING DAVID

LIMITED EDITION

მუკუზანის საფერავი

ქართული პრემიალური ღვინო

ესპანელი მხატვრის
აუგუსტო ფერერ დალმაუს
ტილოზე ადბეჭდილი ქართული ისტორია
„დიდგორის რაინდი“

BLUMARINE

აგიურად რომანტიკული და სახალისო აღმოჩნდა **BLUMARINE**-ის კოლექცია, რომელიც CANDY ფერების ნამდვილი დღესასწაული გახლდათ.

1. ყვავილების პრინტებით შექმნილ ვარდისფერ ქვედაბოლოსა და გამჭვირვალე ბლუზასთან ბეწვის მინიქურქი და ფეხსაცმელი, ასევე ფუმფულა დეტალებით.

2. მბზინვარე ვერცხლისფერი კაბა ბეწვით დეკოლტესა და მკლავებზე, „წითელ ხალიჩაზე“ ნებისმიერ A LIST ვარსკვლავს დაამშვენებს.

3. ბოჰემური, თავისუფალი სტილი და ყვავილებიანი კაბა, რომელიც 1970-იანი წლების მუსიკალური ფესტივალების ესთეტიკაშია გადაწყვეტილი.

4. ANIMAL PRINT-ის ქურქი და ბაფთიანი ბლუზა კი 1960-იანი წლების ბოჰემურ ნიუ-იორკს მოგვაგონებს.
5. მარტივი, მინიმალისტური და სექსუალური ვარდისფერი კაბა, თამამი ჭრებითა და მეტალიკის მბზინვარე აქცენტებით.

BLUMARINE

რომანტიკულ და ფემინურ კოლექციაში საკმაოდ კარგად იყო გაშლილი მხიარული ფერები. თბილი ყვითელი და კონტრასტული ბრინჯაოსფერი ერთმანეთს საკმაოდ კარგად შეეხამა.

1. მიუხედავად იმისა, რომ კოლექციაში უხვად იყო გამოყენებული პასტელის ფერები და ნაქარგები, ყველაზე შთამბეჭდავი მაინც HEAD TO TOE ვერცხლისფერი LOOK-ები აღმოჩნდა. ე.წ. „დაცემული“ აბრეშუმის ჰაეროვნებას ძალიან მოუხდა კრისტალებით შექმნილი ზედატანი, რომელიც ჯაჭვების იმიტაციას ქმნის.
2. ნაცრისფრის მორგება ამ სეზონზე ყოველდღიურადაც შეგიძლიათ — აბრეშუმის ქვედაბოლო და თბილი სვიტერი ბეწვით ზამთრის მზიანი ამინდებისთვის იდეალური LOOK-ია.

GIORGIO ARMANI

ეგენდარულმა იტალიელმა დიზაინერმა ამ სეზონზე მოდური და საქმიანი ქალის იმიჯი შექმნა, რომელიც თანაბარი წარმატებით იხდენს რეტრო და აკადემიური სტილის სამოსს.

1. SWAROVSKI-ს კრიტალებით გაწყობილი შავი ტუქსედო შიშველ სხეულზე სწორედ თამამი, პრინციპული და თავდაჯერებული ქალბატონის გარდერობიდანაა.
2. შავი აბრეშუმის კაბა კორსეტზე მკაცრი გეომეტრიული ჭრებით ძალიან უხდება გრძელ ხელთათმანებს, შლაპასა და მასიურ საყურეებს.
3. რეტრო სტილისა და ურბანული CHIC-ის კლასიკური შერწყმა — ხავერდის შარვალი და შავი პიჯაკი ორიგინალური გულით.
4. ამ LOOK-ს კი გამორჩეულობას ფირუზისფერი ბისერებიანი ტოპი სძენს.

GIORGIO ARMANI

1. კვლავ ხავერდის შარვალი — ამჯერად ზღაპრულ პრინტებიან პიჯაკთან კომბინაციაში.
2. კოლექციაში საკმაოდ კარგადაა გაშლილი აქსესუარების თემა — **GIORGIO ARMANI** ჩანთებს, ფეხსაცმელსა და მასიურ სამკაულებს ზუსტად უხამებს სამოსს.
3. მკვეთრი სალათისფერი კოლექციას ძალზე მხიარულ ელფერს სძენს.
4. ბოჰემური სტილის შემოსაცმელი და მასიური მწვანე საყურე ერთმანეთს ფერისა და სტილის კუთხით იდეალურად ერწყმის.

3

4

VERSACE

დონატელა ვერსაჩემ შთაგონების ძიება ამჯერადაც ყველაზე მარტივი და გენიალური მიმართულებით სცადა. დიზაინერმა კოლექციის მთავარ თემად ქალის სხეული, ხასიათი და შარმი აირჩია. დინამიკური, თავბრუდამხვევი და ფერადი კოლექცია სწორედ ისეთი ქალბატონებისთვის იყო განკუთვნილი, რომლებმაც ზუსტად იციან, რა სურთ ცხოვრებისგან. გეომეტრიული ფორმები და პრინტები, ყვავილებთან ერთად, ჩვენების ძირითადი მოტივი გახლდათ.





VERSACE

1 ნატაშა პოლიმ ნარინჯისფერი ბეწვის ქურქი, რომელიც ბოლო ნაწილში შავად გარდაისახა, საზაფხულო სანდლებზე მოირგო.
2. გრძელი ლაბადა, რომელსაც პრინტებად საღებავების შხეფების იმიტაცია ამშვენებს, ქუჩის მოდის ფოტოგრაფთა გულსაც მარტივად დაიპყრობს.

3. NAVY ლურჯი ლაბადა კუბოკრულ პერანგთან და კლასიკურ შარვალთანაა შეხამებული ისე, რომ ფერთა იდეალური სინთეზი არ ირღვევა.
4. ამ LOOK-ში ლურჯის, შავისა და ნარინჯისფრის კომბინაციასთან ერთად, ფაქტურების საკმაოდ საინტერესო თანხვედრასაც შეამჩნევთ.

VERSACE

ნაქსოვი სამოსი კოლექციის კიდევ ერთ ძირითად ხაზს წარმოადგენდა. გეომეტრიულ მოტივებზე შესრულებული სვიტერები და ქვედაბოლოები ძალიან კარგად ეხამებოდა ერთმანეთს ფერების კუთხითაც.

1. ვინტაჟური სტილის ნაქსოვი ანგორას სვიტერი ორიგინალური სახელოებით და რომბებიანი ქვედაბოლო.

2. 1990-იანი წლების „გრანჟის“ ესთეტიკა — კუბოკრული პრინტები, ნაქსოვი სვიტერი და მკვეთრი მაკიაჟი.

3. თავიდან ფეხებამდე შავი LOOK-ი, მასკულინური პიჯაკი განიერი მხრებით, კლასიკური შარვალი და კაპიუშონიანი ხავერდის ტოპი.

ახალი სახელი ქართული ღვინის ისტორიაში

ETRO

ტალიური მოდის სახლის სამოსში ერთმანეთს ყოველთვის განსხვავებული ეპოქები, კულტურები და ტრადიციები ერწყმის. ჩვენება, რომელსაც მოდის კრიტიკოსებმა „ფერთა აფეთქება“ უწოდეს, ასევე გამორჩეული ფორმებისა და ავთენტურობის გამო გახლდათ.

1. ETRO-ს სავიზიტო ბარათი ეთნომოტივები და თავბრუდამხვევი პრინტებია. ეს LOOK-ი ბრენდის კონცეფციას იდეალურად აღწერს.
2. ბოჰემური სტილის ფერადი კაბები პაეროვანი სილუეტით და TRIBAL ელემენტებით — იტალიური მოდის სახლის კიდევ ერთი შედევრი.
3. ბაიკერის პიჯაკის ყველაზე ფერადი და მხიარული ვარიაცია აღმოსავლური ელემენტებითა და თავბრუდამხვევი ორნამენტებით
4. ბოჰემური სტილის შემოსაცმელი TRIBAL დეტალებისა და ფერთა ჰარმონიული გამის იდეალური ნაზავით.

ETRO

1. ANIMAL პრინტის კაბა — მარტივი, დახვეწილი და ორიგინალური.
2. ლაბადა, რომელიც განსხვავებული პრინტების მიქსის, ფერთა კომბინაციებისა და ნაქარგების სინთეზია.

3. ისევ და ისევ ეთნოდეტალები, და კვლავაც ფერთა იდეალურ გამაში — პონჩო TRIBAL-ორნამენტებით.
4. ტყავის გრძელი ლაბადა შიდა ბეწვით და პრინტებიანი კომბინეზონი ფერების კუთხით ერთმანეთთან სრულ ჰარმონიაშია.

GUCCI

ათლიანად ეგზოტიკური ყვავილებისა და ტროპიკული ბუნების მოტივებზე შექმნილი კოლექციით, ალესანდრო მიშელმა საკუთარ გასაიდუმლოებულ ბაღში გვამოგზაურა. **GUCCI**-ს კრეატიულმა დირექტორმა ეს შოუს დასრულების შემდეგ თავად დასძინა.

1. ტყავის ჟილეტი მეტალის უხეში დეტალებით საკმაოდ კონტრასტული, თუმცა მომგებიანი არჩევანია ასეთი დახვეწილი სტილის ყვავილებიან ბლუზასთან.

2. LOOK-ი, რომელიც აუცილებლად მთლიანობაში უნდა აღიქვათ — ეს სადა შავი კაბა ფეხსაცმლისა და კოლგოტის გარეშე, მთელ ხიბლს კარგავს.

3. კუბოკრული ლაბადა, რომელზეც ნამდვილი ბაღია, ნაქარგების სახით გაშენებული.
4. აღმოსავლური მოტივები — თავბრუდამხვევი პრინტები ფენებად და ბლუზა კრისტალებიანი ბაფთით ყელზე.

GUCCI

1. გველის ტყავის იმიტაციით შექმნილი სამოსი ფერთა იდეალური შეხამებით.
2. ხავერდის ხალათი-კაბა თვალისმომჭრელი პრინტებითა და კრისტალებით ამოქარგული პეპლით.

3. კვლავ გველის ტყავის კრისტალებიანი პიჯაკი და ქვედაბოლო — ამჯერად ვინტაჟური სტილის ყელსაბამთან ერთად.
4. დიდი ზომის ჩალის შლაპა კოლექციის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი STATEMENT აქსესუარია.

PRADA

ძლიერი ფემინისტური მესიჯების მატარებელი კოლექციით, **PRADA** თანამედროვე მსოფლიოში ქალის როლსა და მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. პოდიუმზე თამამი და საოცრად თავდაჯერებული ქალბატონის განსახიერება ცოცხლდება, რომელიც ნებისმიერ სტილს იხდენს და თავადვე წყვეტს, რომელი სტილის სამოსი ატაროს.

1. ნაქსოვი სამოსი კოლექციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზია. ამ შემოსაცმელს ნიჟარებიანი ყელსაბამი და ბეწვიანი კაპიუშონი ამშვენებს, რომელსაც ბუმბულების იმიტაცია აქვს დამატებული.

2. კოლექციაში ყველაფერია იმისთვის, რომ ცივ ზამთარში თავი კომფორტულად იგრძნოთ — ზამშეს ამ შარვალსა და დათბილულ პიჯაკში სიცივე ნამდვილად არ შეგაწუხებთ.
3. ნაქსოვი სვიტერი და ბეწვის ქვედაბოლო — საკმაოდ ორიგინალური შეხამება ეგზოტიკური პრინტების მქონე ქურქთან.
4. კარამელისფერი ბეწვის ქურქი, საკმაოდ კონტრასტული ფერის ტყავის დეტალებით, ესკიმოსთა ტრადიციულ სამოსს მოგაგონებთ.

PRADA

1. ტყავის ცისფერი ლაბადა ფოჩებითა და ორნამენტებით, შავი ბლუზა მასიური ღილებით, და კუბოკრული ქვედაბოლო ბუმბულებით — რამდენიმე განსხვავებული სტილის შერწყმა ერთ LOOK-ში.
2. კვლავაც ტყავის პიჯაკი, ამჯერად ნაქსოვი დეტალებით, და ქვედაბოლო, რომელსაც ცისფერ ბუმბულებთან ერთად, ყვავილებიანი ნაქარგებიც ამშვენებს.

Etere Agency

BENITO

BENITO
–Urban
–Light
–Play
–Covers

+995 577 12 22 08

www.benito.com

MISSONI

ტალიური ბრენდი, რომელიც ქსოვის განსაკუთრებული ტექნიკით გამოირჩევა, სეზონიდან სეზონამდე განახლებული ორნამენტებით, ფერთა სიუხვითა და ავთენტური ფორმებით გვაკვირვებს.
1. აგურისფერი პიჯაკი და შარვალი — POWER SUIT-ის კონცეპტის ნაქსოვი ვერსია.

2. გეომეტრიული მოტივები და მბზინვარე აქცენტები — ამ LOOK-ის მთავარი ხიბლი ფერთა იდეალური შეხამებაა.
3. ცისფერი კაბა 1970-იანი წლების სტილში და მასიური ყელსაბამი TRIBAL ელემენტებით — **MISSONI** პოდიუმზე ჰიპების ეპოქასაც აცოცხლებს.
4. ბრენდი, რომელიც ყოველთვის მხიარული ფერებით გამოირჩევა, თავიდან ფეხებამდე შავ LOOK-ებსაც წარმოგვიდგენს.
5. MISSONI-ს კლასიკური ხელწერა — ნაქსოვი შემოსაცმელი, კაშნე და სვიტერი იდენტური პრინტებით.

MIU MIU

ფერადი ბეწვი 2017 წლის შემოდგომა/ზამთრის ერთ-ერთი წამყვანი მოდური ტენდენციაა და ამას **MIU MIU**-ს კოლექციაც ადასტურებს.

1. ბეწვის ლურჯი, ფუმფულა ქურქი კრისტალებიანი ქამრით, ვინტაჟური, ბოჰემური და კომფორტულია.

2. პასტელის პიტნისფერი ქურქი ძალიან უხდება პრინტებიან კომბინეზონს ჰარმონიულ ტონალობებში.
3. ეს LOOK-ი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეგვიძლია თბილი სამოსი სამკაულებით, აქსესუარებითა და ბეწვის დეტალებით გავახალისოთ.
4. თუ **MIU MIU**-ს დავუჯერებთ, ზამთარში დიდი ზომის ნაქსოვი სვიტერები კაბადაც შეგვიძლია ვატაროთ.

MAX MARA

ბეჟი, კარამელისფერი, ნაცრისფერი და მკვეთრი წითელი — ფერები, რომლებიც ბრენდის კოლექციებს მუდმივად თან სდევს, პოდიუმზე ამ სეზონზეც უხვად ვიხილეთ.

1, 4. 2017 წლის ზამთრისთვის **MAX MARA** ბეწვიანი ლაბადების საუცხოო არჩევანს გვთავაზობს. ფერით, ფაქტურებითა და დეტალებით მდიდარი სამოსი, გარდა იმისა, რომ საოცრად კომფორტულია, მთლიან LOOK-საც იდეალურად ეხამება. მოდელებმა წითელი და ყავისფერი ბეწვის ლაბადები მონოქრომული ტონის ხავერდის შარვალთან და ყელიან სვიტერებთან ერთად მოირგეს.

2. კოლექციის მთავარ თემატიკასა და ფერთა გამას შესაბამისი აქსესუარებიც საკმაოდ კარგად ჰქონდა შეხამებული. ტყავის ყავისფერი ჩანთა ბეწვის დეტალებით ძალიან უხდება კლასიკური შარვლისა და ნაქსოვი სვიტერის დუეტს.
3. მონოქრომული ტონებისა და კონტრასტული ფაქტურების თანხვედრა — ნაქსოვი ბლუზა, ხავერდის ქვედაბოლო და ჩანთა ბეწვის აქცენტებით.

MAX MARA

1. ნაწნავის იმიტაციით შექმნილი ნაქსოვი სვიტერი მბზინვარე ელემენტებით — კომფორტული და დახვეწილი LOOK-ი სუსხიანი ზამთრისთვის.
2. POWER SUIT — პიჯაკი, შარვალი და ლაბადა მეტალიკის აქცენტებით.

გამოიწერეთ ფასდაკლებით

HELLO! GEORGIA

38 ₾ ერთი წლით

DHL

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით

HELLO!

თქვენს ოჯახებს საჩუქრით ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება **HELLO!**-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge

1
2
3

OSCAR DE LA RENTA

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ამერიკული სტილის სიმბოლოდქცეული მოდის სახლი, რომელიც უამრავი A-LIST ვარსკვლავისთვის ქმნის სამოსს, ამჯერადაც საღამოს კაბების საოცრად დახვეწილ კოლექციას წარმოგვიდგენს.

1. უნაკლო მინიმალიზმი — წითელი კაბა მბზინვარე აქცენტებითა და ორიგინალური ფორმის გულით.

2. ბისერებით შექმნილი ლურჯი კაბა ნებისმიერ წვეულებასა თუ „წითელ ხალიჩას“ დაამშვენებს — ცხადია, შესაბამისი ფეხსაცმლით.

3. POWER SUIT — პიჯაკისა და შარვლის კლასიკური DUO, მეტალიკის აქცენტებით შექმნილი ტოპით.

4. თანამედროვე პრინცესას უნიფორმა — გაშვებული ფორმის კაბა სახელოების გარეშე — უკვდავი სილუეტი და ფერთა დახვეწილი შეხამება.

2
1

OSCAR DE LA RENTA

1, 2. კოლექციაში საკმაოდ გემოვნებითაა გამოყენებული ვერცხლისფერი. HEAD TO TOE მეტალიკით შექმნილ სამოსთან ერთად, ჩვენებაზე ისეთი კაბებიც ვიხილეთ, სადაც ვერცხლისფერი დეტალები დეკონსტრუქციის ელემენტებს ამშვენებდა.

3, 4. OSCAR DE LA RENTA-ს კოქტეილის კაბები გვარწმუნებს, რომ კლასიკური სილუეტები დროს უძლებს.

OSCAR DE LA RENTA

1. გრაფიკული პრინტები და ფერთა BOLD შეხამება — **OSCAR DE LA RENTA**-სეული ყოველდღიური სამოსიც კი დახვეწილი და გამორჩეულია.
2. OVERSIZED ნაქსოვი სვიტერი, თეთრი ქვედაბოლო და ლურჯი ბოტფორდები — საკმაოდ არაორდინარული LOOK-ი და ფერთა საინტერესო გამა.
3. კიდევ ერთი POWER SUIT — კლასიკური სილუეტისა და მკვეთრი ფერების სინთეზი.

კოლექციაში, თბილ და მხიარულ ტონალობებთან ერთად, მხოლოდ შავით და თეთრით შექმნილ საკმაოდ საინტერესო LOOK-ებსაც შეამჩნევდით — არაორდინალური პრინტებითა და რეტროსტილის სილუეტებით.

RALPH LAUREN

ამერიკელმა დიზაინერმა მისი ორი გატაცება — მოდა და ვინტაჟური ავტომობილები ერთმანეთთან 2017 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციაში გააერთიანა. **RALPH LAUREN**-მა შოუს სტუმრები 1930-იანი წლების ბოჰემურ ნიუ-იორკში ამოგზაურა.

1. კუბოკრული პრინტები და OVERSIZED მასკულინური სილუეტები — მივიწყებული ეპოქა პოდიუმზე სამოსის დახმარებით გაცოცხლდა.

2. კოლექციაში ნაცრისფერი დომინირებდა — კუბოკრული კაბა რეტროს სტილში ძალიან კარგად მოერგო შოუს მთავარ კონცეფციას.

3. განგსტერული მოტივები — თეთრი პერანგი და განიერი შარვალი აჭიმით.

4. კოლექციის დახვეწილი დაგვირგვინება — ე.წ. „დაცემული“ წითელი კაბა წვრილ ბრეტელზე — სილუეტი, რომელიც ნებისმიერ ეპოქაში მოდური და აქტუალურია.

უკვე მესამე სეზონია, რაც **RALPH LAUREN**-მა მოდის ინდუსტრიაში სრულიად ახლებურ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი. დიზაინერი მიმდინარე სეზონის კოლექციებს ცოცხალ რეჟიმში წარმოადგენს და არა წინსწრებით. 2017 წლის შემოდგომა/ზამთრის შოუ დიზაინერმა გაზაფხულის ნაცვლად სექტემბერში წარმოადგინა. BUY-NOW-WEAR-NOW — ასე ქვია კონცეპტს, რომელსაც **RALPH LAUREN**-ის შემდეგ ალბათ სხვა დიზაინერებიც აითვისებენ.

DIOR-თან 3-წლიანი თანამშრომლობის შემდეგ, რაფ სიმონსმა ფრანგული მოდის სახლის კრეატიულ ხელმძღვანელობას, **CALVIN KLEIN**-ში იგივე თანამდებობა არჩია. ამერიკული ბრენდისთვის შექმნილი პირველი კოლექცია ბელგიელმა დიზაინერმა ნიუ-იორკში წარმოადგინა. საპატიო პირველ რიგს, სხვა ვარსკვლავებთან ერთად, გვინეტ პელტროუ და მილი ბობი ბრაუნიც ამშვენებდნენ.

1. ვეტერანი სუპერმოდელი ლია კებედე ჩვენებაზე პოლიესტერის კუბოკრულ TRENCH-ლაბადაში გამოწყობილი ვიხილეთ.

2. კოლექციის მთავარი ინსპირაცია უოლ სტრიტელი ბანკირების ჩაცმის სტილი გახლდათ — რაფ სიმონსისეული აკადემიური სტილი კლასიკურ შარვლებს, ტოპებსა და NAVY ლურჯ ლაბადებსაც მოიცავს.
3. ამ LOOK-ში ერთმანეთს FORMAL-სტილი და ვესტერნის ესთეტიკა საკმაოდ კარგად ერწყმის — მოდელი კუბოკრულ ქვედაბოლოსა და პიჯაკთან კოვბოის ჩექმას ატარებს.
4. კვლავ კუბოკრული პიჯაკი — ამჯერად ნაქსოვ ჟოლოსფერ ქვედაბოლოსთან.
5. ვესტერნის ელემენტები ამ LOOK-შიც იგრძნობა — ტყავის შარვალი და ფეხსაცმელი ტონალობის კუთხით ძალიან უხდება ბეჟი ფერის ლაბადას.
6. ლურჯისა და შავის კომბინაცია სეზონის ერთ-ერთი მთავარი მოდური ტენდენციაა — რაფ სიმონსმა ამ დუეტს მუქი იისფერიც დაუმატა.

VICTORIA BECKHAM

Уოფილმა პოპვარსკვლავმა, რომელმაც დიზაინერის როლი უკვე საფუძვლიანად მოირგო, წლევანდელი ზამთრისთვის მკაცრი ბრიტანული სტილით ინსპირირებული კოლექცია შემოგვთავაზა.

1. ვიქტორიამ ჩვენებაზე აკადემიური სტილის სამოსის საკმაოდ განსხვავებული ვარიაციები წარმოადგინა. შიფონის ბორდოსფერი ქვედაბოლო და ამავე ფერის პიჯაკი ძალიან მოუხდა კონტრასტული ტონალობის გამჭვირვალე პერანგს.

2. ნაქსოვი კაბა გრაფიკული პრინტებითა და საკმაოდ კომფორტული ფორმით ძალიან მოუხდა შინდისფერ ჩექმასა და ტყავის ხელთათმანებს.

3. კუბოკრული პრინტები კოლექციის კიდევ ერთ HIGHLIGHT-ად იქცა. ბექჰემმა ბრიტანელი არისტოკრატების

ტრადიციული გარდერობიდან უამრავი დეტალი აითვისა და მათ სრულიად ახლებული ელფერი შესძინა.
4. კვლავ ტყავის ხელთათმანები — ამჯერად გაშვებულ, პრინტებიან ქვედაბოლოსთან და თბილ შავ სვიტერთან კომბინაციაში — იდეალური LOOK-ი ლონდონის სუსხიანი ამინდებისთვის.
5. კოლექცია საკმაოდ პროგნოზირებადი გახლდათ ფერების კუთხით. ვიქტორიამ არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და დიდი დოზით მუქი ტონალობები შემოგვთავაზა. მუქი ლურჯი ლაბადა ტყავის ხელთათმანებითა და საყელოზე ხის რტოთი ზუსტად ეხმიანება კოლექციის ძირითად კონცეფციას.

MARY KATRANTZOU

დიზაინერმა, რომელიც ყოველ სეზონზე ზღაპრულ სამყაროში გვამოგზაურებს, არც ამჯერად გაგვიცრუა იმედები. **MARY KATRANTZOU**-ს „ქალი“ 2017 წლის შემოდგომა/ზამთრისთვის თამამი, მეოცნებე და ფერადია. ატარებს ვარდისფერ ბეწვის ქურქებს და კუბოკრულ ქვედაბოლოებს, ირგებს პიჯაკებსა და შარვლებს თავბრუდამხვევი პრინტებით, და არც კრისტალებითა და მბზინვარე ქვებით შექმნილი ფერადი სადღესასწაულო სამოსის ტარებას ერიდება. **MARY KATRANTZOU** ფსონს ამ სეზონზე მკვეთრ ფერებსა და ზღაპრულ ორნამენტებზე ჩამოდის.

BURBERRY

ბრენდი, რომელსაც ლონდონური სტილისა და ხასიათის სამოსად გარდაქმნა ყველაზე უკეთ შეუძლია, არც ამ სეზონზე ღალატობს ტრადიციას. უჩვეულოდ სადა და სექსუალური კოლექციით, კრისტიან ბეილი თანამედროვე ქალის მოდურ გარდერობს აკომპლექტებს. კოლექციაში ძირითადად ლურჯი, ცისფერი და თეთრი დომინირებს.

1. BURBERRY-ს სავიზიტო ბარათად ქცეული TRENCH-ილაბადის იმიტაციით შექმნილ ცისფერ კაბას ძალიან უხდება ჭაობისფერი ჩანთა და წინდა-ჩექმა, რომელიც სეზონის კიდევ ერთი HIT-ტენდენციაა.
2. დენიმის არშიებიანი შემოსაცმელი მთელ კოლექციაში ყველაზე მოულოდნელი და გამორჩეული ნივთი გახლდათ, რომელიც მთლიან კონცეფციას ძალიან მოუხდა.

BURBERRY

1. კოლექცია საკმაოდ მინიმალისტური გახლავთ ფერთა შეხამების კუთხით. ბეილი მკვეთრ კონტრასტებზე უარს ამბობს და მხოლოდ სადა, გარდამავალი ტონალობების სინთეზს წარმოგვიდგენს.
2. სანტექნიკოსის უნიფორმით ინსპირირებული კომბინეზონი ჩვენების ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი LOOK-ია.

TAMUNA INGOROKVA FASHION HOUSE

CONTACT
Address: 13A Tamarashvili Street, 0177, Tbilisi, Georgia
Phone: (995 32) 291 28 72
E-mail: tamuna@ingorokva.com

DAVID KOMA

ქართველი დიზაინერი, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე თბილისს MERCEDES BENZ-ის მოდის კვირეულის ფარგლებში სტუმრობდა, როგორც ჩანს ლონდონში მშობლიური ქვეყნის ეროვნული სამოსით ინსპირირებული დაბრუნდა, ეს გამოცდილება კი ქართული ეროვნული ელემენტებით გაჯერებულ კოლექციად აქცია.

1. შავ ლაბადასთან, რომელიც ქართული ჩოხის ზუსტი ასლია, **DAVID KOMA** ნარინჯისფერი გაშვებული შარვლისა და ცალ მხარზე გადაფენილი ჭაობისფერი ფუმფულა ბეწვის ტარებას გვირჩევს.

2. დავითმა საკმაოდ კარგად მოახერხა საკუთარ ხელწერასთან ქართული მოტივების მორგება. გრაფიკულ ჭრებსა და თამამ



3

4

დეკოლტეს ქართული ეთნოელემენტები ძალიან მოუხდა.
3. 2017 წლის შემოდგომა/ზამთრის ერთი-ერთი წამყვანი მოდური ტენდენცია COLOR-COORDINATED პიჯაკები და შარვლები გახლავთ. ქართველი დიზაინერის კოლექციაში კი ამ სამოსს ჩოხის დეტალებიც ამშვენებს. ეს HEAD TO TOE ლურჯი LOOK-ი უკვე მოირგო სუპერმოდელმა ბელა ჰადიდმა, მსგავსი მინიკაბა კი სულ ცოტა ხნის წინ ამშვენებდა კარა დელევინს საკუთარი წიგნის პრეზენტაციაზე.
4. მიუხედავად იმისა, რომ კოლექციის მთავარი კონცეფცია გათანამედროვებული ქართული ტრადიციული სამოსი გახლდათ, დიზაინერმა მაინც საკმაოდ გემოვნებით ჩააქსოვა ამ ყველაფერში ბეწვი და ტყავი.

DAVID KOMA

1, 2. გრაფიკული პრინტები და ფუტურისტული სილუეტები **DAVID KOMA**-ს კიდევ ერთი ფავორიტი სტილი გახლავთ, რომელსაც საკუთარ კოლექციებში დიზაინერი ყოველ წელს განსხვავებული დოზით გვთავაზობს.
3. დავითი ყოველთვის საკმაოდ მოზომილი და მინიმალისტია ფერების კუთხით. ამჯერად კოლექციაში მხოლოდ თეთრი, შავი, ლურჯი და ჭაობისფერი სამოსი იყო წარმოდგენილი, ჩვენების ბოლოს კი პოდიუმზე მბზინვარე კრისტალებით გაწყობილი, საკმაოდ საინტერესო ფორმის კაბები ვიხილეთ.

3

AVTANDIL

2017 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციით, ავთანდილ ცქვიტინიძემ ჰიპერრეალისტურ პარალელურ სამყაროში გვამოგზაურა. სამყაროში, სადაც მთავარი მოდური ტენდენცია დეკონსტრუქცია და ნაცნობი ფორმების დაშლაა. დიზაინერმა უხვად შემოგვთავაზა ფუტურისტული ფორმები და

ფაქტურები, ორიგინალური ფორმის კლატჩები, საყურეები და ლაბადების საკმაოდ საინტერესო არჩევანი. ძალზე თამამი და ეკლექტური კოლექციით, ავთანდილმა თანამედროვე ქალბატონებს ჩარჩოებისა და წესების გარღვევისკენ მოუწოდა. ყველაზე დასამახსოვრებელ LOOK-ებს შორის, ქამრებით გაწყობილი მკაცრი ფორმების კაბა და განიერმხრებიანი პიჯაკები აღმოჩნდა.



GEORGE KEBURIA

გიორგი ქებურია იმ ახალგაზრდა ქართველ დიზაინერთა შორისაა, რომელთა შემოქმედებას საკმაოდ კარგად იცნობენ საზღვრებს გარეთ. ცოტა ხნის წინ, პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში გამართულ შოურუმზე, ქებურიას კოლექციით თავად ანა ვინტური დაინტერესდა, გიორგის სათვალეები კი სულ მალე OPENING CEREMONY-ს

ონლაინმაღაზიაში გაიყიდება. 2017 წლის შემოდგომა/ზამთრისთვის ქებურია პასტელის ფერების საკმაოდ საინტერესო სპექტრს წარმოგვიდგენს. დიდი ზომის ბაფთები, გამჭვირვალე ფაქტურები და თეთრისა და შავის კომბინაცია კოლექციის ძირითადი ხაზია. ქებურიას კოპლებიანი კაბა, რომელიც აღნიშნული კოლექციის ბოლო LOOK-ი გახლდათ, უკვე ამშვენებს LADY GAGA-ს გარდერობს.

SITUATIONIST

ორაკლი რუსაძე იმ ახალგაზრდა ქართველ დიზაინერებს შორისაა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უახლეს წარსულს წარმატებით გარდაქმნიან ესთეტიკად. პოსტსაბჭოურ სტილსა და უხეშ ფაქტურებზე ორიენტირებული რუსაძე მასკულინური ფორმებითა და ფუტურისტული მოტივებით გამოირჩევა. მისი სამოსი, სხვა ვარსკვლავებთან ერთად, ბელა ჰადიდის გარდერობსაც ამშვენებს.

1. POWER SUIT — თამამი და თავდაჯერებული ქალის უნიფორმა —

ნაცრისფერი შარვალი და OVERSIZED-პიჯაკი შიშველ სხეულზე.
2. მონოქრომული ტონებით მანიპულირების კარგი მაგალითი — ზამშეს მაღალწელიანი შარვალი და ღვინისფერი ლაბადა.
3. ეროვნული მოტივები — ქართლის დედის გრაფიკული ვერსია, როგორც პრინტი.
4. ტყავის ლაბადა 1990-იანი წლების პოსტსაბჭოურ სტილში.



ANOUKI

რომანტიკული, ჰაეროვანი და საკმაოდ ფერადი აღმოჩნდა ანუკი არეშიძის კოლექცია, რომელიც დიზაინერმა პასტელური ფერებისა და ქართული ანბანის შთაგონებით შექმნა. OFF THE SHOULDER-სტილის კაბები და ბლუზები, პერანგები დეკონსტრუქციის

ელემენტებით, ბალერინას გარდერობით ინსპირირებული ქვედაბოლოები და მკაცრი პიჯაკები განიერი მხრებით, ახალგაზრდა დიზაინერმა მთავარ კონცეფციას საკმაოდ კარგად მოარგო. კოლექციაში ყველაზე გამორჩეული ჯინსის ქურთუკები და ხავერდის ქამარი-ჩანთები გახლდათ, რომლებზეც ქართულად სხვადასხვა ყვავილის სახელები იყო ამოქარგული.

TAMUNA INGOROKVA

ქართველი დიზაინერი, რომელიც ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევა, ყოველ სეზონზე ახერხებს ფემინურობას ახალი ფორმა და სიცოცხლე შესძინოს. თამუნა ინგოროყვას 2017 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექცია ძლიერი და საქმიანი ქალის გარდერობი გახლავთ. OVERSIZED-ლაბადები, მაღალწელიანი ქვედაბოლოები და შარვლები, ყელიანი სვიტერები, დიდი დოზით ტყავი, რომანტიკული სტილის პრინტიანი

გაშვებული კაბები და სეზონის ერთ-ერთი ჰიტი — COLOR-COORDINATED-პიჯაკები და შარვლები — ინგოროყვამ ამ კოლექციაში რამდენიმე განსხვავებული სტილი საკმაოდ წარმატებით გააერთიანა. ბელა და ჯიჯი ჰადიდების საყვარელი ქართველი დიზაინერის ჩვენება VICTORIA'S SECRET-ის ანგელოზმა, ედიტა ვილკევიჩიუტემ დახურა. აღსანიშნავია, რომ ლიტველმა სუპერმოდელმა საკუთარ ქორწილში სწორედ თამუნა ინგოროყვას შექმნილი სადედოფლო კაბა მოირგო.

DJABA DIASAMIDZE

ჯაბა დიასამიძის კოლექციებს სხვებისგან საკმაოდ მარტივად გამოარჩევთ. დიზაინერი, რომელიც პარიზში საქმიანობს, ძირითადად საღამოს კაბებს ქმნის და ყოველთვის ძვირფას ქსოვილებს იყენებს. ჯაბა ძალზე მინიმალისტურია ფერების კუთხით — მის ჩვენებებზე ყოველთვის მხოლოდ შავი, თეთრი და წითელი სამოსია წარმოდგენილი, თუმცა სილუეტები და ფორმები იმდენად გამორჩეული და დახვეწილია, რომ სიჭრელისა და პრინტების დანაკლისი ნამდვილად არ შეგაწუხებთ. დიასამიძემ ამჯერად შავი კაბების საკმაოდ ფართო არჩევანთან ერთად, კრისტალებით გაწყობილი გამჭვირვალე სამოსიც შემოგვთავაზა. კოლექციის HIGHLIGHT-ი კი მთლიანად თეთრი LOOK-ი გახლდათ — დიდი შლაპითა და ვუალით.

LALO

ქართული ბრენდი, რომელიც უკვე წლებია მოდის მოყვარულებს ნაქსოვი სამოსით ამარაგებს, 2017 წლის შემოდგომა/ზამთრისთვის სრულიად განსხვავებულ კოლექციას წარმოგვიდგენს. კარგად ნაცნობ ნაქსოვ ჟაკეტებსა და ლაბადებთან ერთად, ლალო დოლიძე კოქტეილის კაბების ძალიან საინტერესო სპექტრსაც გვთავაზობს.

1. დეკონსტრუქციის ელემენტები — კაბა ცალი მკლავით და შინდისფერი ბოტფორდები.

2. ნაქსოვი ლაბადა შიშველ სხეულზე და ორიგინალური ფორმის ქუდი.

3. ბოჰემური სტილის შემოსაცმელი და აბრეშუმის მუქი აგურისფერი კაბა — ზამთრის გარდერობის გახალისების შესანიშნავი მაგალითი.

HELLO! GEORGIA

შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია

იკითხეთ **HELLO!** მთელ მსოფლიოში

სმარტფონებზე, პლანშეტებზე
და პერსონალურ
კომპიუტერებზე

ჩამოტვირთეთ
ქართული **HELLO!**
მსოფლიოს უმსხვილესი
დახლებიდან

ZINIO და MAGZTER

Google play
App Store

დამატებითი
ინფორმაციისათვის
დაგვიკავშირდით
info@hellomagazine.ge

www.facebook.com/ioverdegeo

IO VERDE

ვერტიკალური ბალი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში